



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№ 831

2016 წლის 5 აგვისტო

ქ.ლაგოდეხი

სახელმწიფო პროექტის განხორციელების პროცესში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის  
გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური დასპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად

**ვბრძანებ:**

**მუხლი 1.** გამოიყოს, სახელმწიფო პროექტის განხორციელების პროცესში მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, (შემდგომში - მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი) რომელიც უზრუნველყოფს „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებას.

**მუხლი 2.** ბრძანების პირველი მუხლის შესაბამისად, „მუნიციპალიტეტის წარმომადგენელ პირად“ განისაზღვროს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის“ უფროსი - გიორგი ჩალათაშვილი (პ/ნ 25001005923).

**მუხლი 3.** მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისას იხელმძღვანელოს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმებით.

**მუხლი 4.** ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

**მუხლი 5.** ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი:

კარლო ჯამბურია